



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაქავარიანი ივანე ნიკოლოზის ძე

მაქავარიანი ივანე ნიკოლოზის ძე (1863, თბილისი, – 10. III. 1943, იქვე), მთარგმნელი. 1883-87 სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტი. ლიტ. ასპარეზე გამოვიდა 1885. 1899-იდან მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზაზე კომერც. განყ-ბის უფროსად; განაგებდა ჟურნ. „მოამბეს“. პუბლიც. წერილებსა და რეცენზიებს აქვეყნებდა „ივერიაში“, „მოამბეში“, „ცნობის ფურცელში“, „დროებაში“, „საქართველოში“. მისი ავტორობით გამოიცა ფრანგ.-ქართ. ლექსიკონი. ქართ. ენაზე თარგმნილი აქვს ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“, ა. დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, ასევე ფრანგი და რუსი მწერლების მრავალი რომანი და მოთხოვნა (ვ. ჭიათურა, დ. დიდორო, მოლიერი, ა. ტოლსტოი, პ. პავლენკო, მ. გორკი და სხვ.). წერდა ფსევდონიმებით: „ინტრანსიუან“, „კვიმატი“, „ივანე ახალშენაშვილი“, „ინ ანი“, „ი. მ-ნი“, „X“.

თხზ.: სამშობლო და კაცობრიობა, თბ., 1904; სამი მუშკეტერი (თარგმ.), თბ., 2004; ტარტარენ ტარასკონელი (თარგმ.), თბ., 2011.

ლიტ.: თ უ რ ნ ა ვ ა ს., ივანე მაქავარიანი, „განთიადი“, 1993, №1-2; მწერალთა ავტობიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013.